

დამტკიცებულია:

2016 წლის 20 ივნისის  
პარტნიორთა კრების ოქმით

## წესდება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - “ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი” (შემდგომში „უნივერსიტეტად“ ან „საზოგადოებად“ წოდებული) შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რომლის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური და იურიდიული პირები (შემდგომში „პარტნიორებად“ წოდებულნი).

## მუხლი 1 ზოგადი დებულებანი

- 1.1 უნივერსიტეტი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს;
- 1.2 უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმაა \_ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 1.3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“;

- 1.4. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N82
- 1.5. საქართველოს კანონმდებლობს შესაბამისად უნივერსიტეტი იურიდიული პირია. მისი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით.
- 1.6. საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის უნივერსიტეტს აქვს უფლება დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩლე/მოპასუხე სასამართლოში და ისარგებლოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით.
- 1.7. თავისი საქმიანობის შესაბამისად უნივერსიტეტი დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ქონებას.
- 1.8. საკუთარ ვალდებულებებზე უნივერსიტეტი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.
- 1.9. უნივერსიტეტს შეიძლება ქონდეს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საქართველოსა და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე ბეჭედი, შტამპი, ემბლემა, საფირმო ნიშანი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.
- 1.10. უნივერსიტეტს შეუძლია შექმნას, ფილიალები, გახსნას წარმომადგენლობები, დააფუძვნოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეიძინოს აქციები/წილი ან/და წილობრივი მონაწილეობა მიიღოს სხვა კომერციულ ან/და არაკომერციულ უნივერსიტეტებში/საზოგადოებებში.
- 1.11. უნივერსიტეტის სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.
- 1.12. უნივერსიტეტი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

## მუხლი 2 უნივერსიტეტის საქმიანობის საგანი და მიზნები

**2.1. უნივერსიტეტის საქმიანობის საგანია:**

- 2.1.1. დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საფუძველზე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება და ფუნქციონირება;
- 2.1.2. საგამომცემლო საქმიანობა;
- 2.1.3. ბიბლიოთეკების შექმნა და მომსახურების გაწევა;
- 2.1.4. მოგების მიღების მიზნით, ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობის განხორციელება, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

## **2.2. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:**

2.2.1. ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

2.1.3. პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

2.1.4. თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

2.1.5. უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის განათლების ამაღლებაზე ზრუნვა და წახალისება.

2.1.6. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

2.1.7. საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებულია საერთაშორისო გამოცდილებასა და შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან.

2.1.8. შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფა რომელიც მაქსიმალურად დაეხმარება სტუდენტებს მომავალ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებაში.

## **2.3. ამ მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი:**

2.3.1. ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას;

2.3.2. ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

2.3.3. ხელს უწყობს სტუდენტთა სასწავლო პირობების გაუმჯობესებას;

2.3.4. ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

2.3.5. ხელს უწყობს თავის შესაძლებლობის ფარგლებში სპორტის განვითარებას;

2.3.6. თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

2.3.7. ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;

2.3.8. ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

2.3.9. ამზადებს და მუდმივად აუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც ორიენტირებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე;

2.3.10. ზრუნავს თანამედროვე ცოდნის და ტექნოლოგიების გავრცელებაზე;

2.3.11. სწავლების გარდა შესაძლებელია ჩაერთოს კვლევითი სამუშაოების განხორციელებაში;

2.3.12. უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას.

## **მუხლი 3**

### **უნივერსიტეტის დამფუძნებელი პარტნიორები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა**

3.1. უნივერსიტეტის დამფუძნებელი პარტნიორები არიან ფიზიკური პირები:

#### **1. მიხეილ ბატიაშვილი**

(დაბადებული 21.11.1971 წელს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, სოფიკო ჭიაურელის N9; პირადი ნომერი № 01009012233);

## 2. გრიგოლ ბულია

(დაბადებული 03.05.1965 წელს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, გიორგი ცაბაძის ქუჩა, კორპ. 4, ბ.31; პირადი ნომერი № 01005004242);

## 3. იოსებ ხუციშვილი

(დაბადებული 15.02.1965 წელს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქუჩა, კოეპ. 8, ბ. 45; პირადი ნომერი № 01018004880);

### მუხლი 4

#### პარტნიორთა წილები საზოგადოების კაპიტალში

4.1. პარტნიორთა გადაწყვეტილებით საზოგადოების კაპიტალიში წილები პარტნიორებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად:

- მიხეილ ბატიაშვილი - კაპიტალის წილის 94%
- გრიგოლ ბულია - კაპიტალის წილის 3%
- იოსებ ხუციშვილი - კაპიტალის წილის 3%

### მუხლი 5

#### უნივერსიტეტის კაპიტალი და დაფინანსების წყარო

5.1. საზოგადოების პარტნიორებს საზოგადოების კაპიტალში შეუძლიათ შეიტანონ ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის ჩათვლით, ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ეკუთვნით მათ საკუთრების უფლებით, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა-დანადგარები და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები, ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

5.2. შეტანილი არაფულადი ქონების ღირებულების შეფასება, თუ მისი განსაზღვრა სხვაგვარად შეუძლებელია, ხდება დამოუკიდებელი ექსპერტის (აუდიტორის) მიერ.

5.3. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

5.3.1. პარტნიორთა შემონატანები;

5.3.2. სწავლის საფასური, რომელიც იფარება სტუდენტების მიერ ან/და სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე);

5.3.3. გრანტის ან შემოწირულების სახით მიღებული შემოსავლები;

5.3.4. სხვადასხვა დაწესებულებების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

5.3.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

### მუხლი 6

#### კაპიტალის შეცვლა

6.1. საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გაზარდონ ან შეამცირონ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი.

6.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება ხორციელდება დამფუძნებელი-პარტნიორების გადაწყვეტილებით.

## **მუხლი 7**

### **საზოგადოების კაპიტალის წილის დათმობა**

7.1. თითოეული პარტნიორი, უფლებამოსილია, დანარჩენი პარტნიორების თანხმობით, მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი (წილის ნაწილი) სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს. ამასთან, თუ რომელიმე პარტნიორი არ არის თანახმა, რომ მეორე პარტნიორმა გაასხვისოს წილი, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია თვიდონ იყიდოს ან 10 (ათი) დღის ვადაში დაასაბუთოს და დაამტკიცოს, რომ ამით უნივერსიტეტს მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი/ზარალი. ხოლო, თუ რომელიმე პარტნიორი დაამტკიცებს, რომ წილის გაყიდვით, უნივერსიტეტს მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი/ზარალი, ასეთ შემთხვევაში უარის თქმიდან 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ, წილის გაყიდვის მსურველ პარტნიორს უფლება ექნება განმეორებით მიმართოს პარტნიორებს იგივე მოთხოვნით და თუ კიდევ არ შეიძენს რომელიმე პარტნიორი, მის წილს და ამასთან წინააღმდეგი იქნება მის მიერ წილის გასხვისების, ასეთ შემთხვევაში წილის გასხვისების მსურველ პარტნიორს უფლება ექნება გაასხვისოს კუთვნილი წილი მესამე პირზე დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე.

7.2. პარტნიორი, სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს საწესდებო კაპიტალში თავისი წილის (წილი ნაწილის) გადაცემასთან ერთად გადასცემს მას გადაცემული წილის პროპორციულად პარტნიორის ყველა უფლებასა და მოვალეობას.

7.3. პარტნიორის მიერ კუთვნილი წილის გასხვისებისას, დანარჩენი პარტნიორები სარგებლობენ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით. ამასთანავე, თუ დანარჩენი პარტნიორები უარს იტყვიან წილის გამყიდველის შეთავაზებაზე, შეთავაზების ინიციატორს არ აქვს უფლება მესამე პირს გაუკეთოს შეთავაზება უკეთესი პირობებით, ვიდრე მან თავდაპირველად შესთავაზა კუთვნილი წილი საზოგადოების პარტნიორებს. ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს გაუკეთოს ახალი შეთავაზება მინიმუმ იგივე პირობებით, რომლითაც აპირებდა მესამე მხარისთვის შეთავაზებას. თუ დადგინდა, რომ წილის გასხვისების ინიციატორმა პარტნიორ(ებ)მა საკუთარი წილ(ებ)ი გაასხვისა უკეთესი პირობებით, ვიდრე შესთავაზა დანარჩენ პარტნიორებს, ეს გარიგება ჩაითვლება ბათილად, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობის დამრღვევ თითოეულ პარტნიორს ცელცალკე დაეკისრება პირგასამტეხლო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით დანარჩენი პარტნიორების სასარგებლოდ.

7.4. საზოგადოებისა და პარტნიორთა სრულყოფილად დაცვის მიზნით, პარტნიორები თანხმდებიან, რომ თითოეული პარტნიორს მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ექნება უფლება:

ა) დააგირაოს, მიწოდებულ საკუთრებად გადასცეს სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთოს თავისი წილი ან წილის ნაწილი;

ბ) გაასხვისოს, დააგირაოს, მიწოდებულ საკუთრებად გადასცემს სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთავს საზოგადოების კუთვნილი ქონება, აგრეთვე ის ქონება/არამატერიალური სიკეთე რომელიც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

## **მუხლი 8**

### **საზოგადოების პარტნიორის უფლება**

8.1. საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში იმ წესით, რომელიც დადგენილია ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით;
- მიიღოს სრული ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- ნებისმიერ დროს გაეცნოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციას;
- მინიმუმ კაპიტალის წილის 5%-ის მფლობელ პარტნიორს უფლება აქვს პარტნიორთა წინაშე დააყენოს საკითხი აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით, ხოლო თუ დანარჩენი პარტნიორები არ

დაეთანხმებიან, ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს აუდიტი და მიიღოს სრული ინფორმაცია უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

- მიიღოს წილი (დივიდენდი) საზოგადოების საქმიანობით მიღებული მოგებიდან;

8.2. დამფუძნებლის გარდაცვალების (ფიზიკური პირის) ან რეორგანიზაციის (იურიდიული პირის) შემთხვევაში ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა გადადის მის სამართალმემკვიდრეზე/უფლებამონაცვლეზე.

## **მუხლი 9**

### **საზოგადოების პარტნიორის ვალდებულება**

9.1. საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია:

- შეიტანოს წილი და დამატებითი შენატანები იმ წესით და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით და პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით;

- დაიცვას დამფუძნებელი დოკუმენტების დებულებანი;

- შეასრულოს საზოგადოების სასარგებლოდ აღებული ვალდებულებანი;

- დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტს მიზნების და ამოცანების განხორციელებაში;

- პატივისცეს დანარჩენი პარტნიორების უფლებებს და არ მოახდინოს მათი უფლებების უსამართლოდ შეზღუდვა/დისკრიმინაცია.

- დაუშვებელია რაიმე სახის ინფორმაცია, საზოგადოების რომელიმე პარტნიორმა ან დირექტორმა ან რომელიმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პირმა კონფიდენციალური ან ხელმიუწვდომელი გახადოს საზოგადოების პარტნიორებისთვის.

## **მუხლი 10**

### **საზოგადოების ქონება**

10.1. უნივერსიტეტის ქონება (მათ შორის კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებები, საკუთარი სამეურნეო საქმიანობით მიღებული ქონება და სხვა ქონება) წარმოადგენს მის საკუთრებას.

10.2. უნივერსიტეტი თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს, განაგებს და მართავს საკუთარ ქონებას. უნივერსიტეტს უფლება აქვს თავისი ქონების მიმართ განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და შეუძლია გამოიყენოს თავისი ქონება ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

10.3. უნივერსიტეტს უფლება აქვს იყოს სამოქალაქო ურთიერთობების სუბიექტი, ქონება შეიძინოს, იჯარით აიღოს, მიიღოს უფასოდ ან სესხად საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და მოქალაქეებისაგან. გაყიდოს, გადასცეს, გაასხვისოს, მისცეს იჯარით, მისცეს უფასოდ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს. გაცვალოს, ააშენოს, ჩამოწეროს ბალანსიდან ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე აწარმოოს გარიგება და მორიგება, დადოს ხელშეკრულებები და კონტაქტები, განახორციელოს ინვენსტიციები სხვა საწარმოში, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები ამ ქონების მომსახურებისა და ექსპლუატაციის მიზნით.

## **მუხლი 11**

### **საგარეო პოლიტიკა**

11.1. უნივერსიტეტს უფლება აქვს დამოუკიდებლად განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, დადგენილი წესით.

11.2. უნივერსიტეტი ურთიერთობებს ამყარებს როგორც საქართველოში არსებულ, ისე უცხო ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან.

11.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში.

## მუხლი 12 უნივერსიტეტის მართვის ორგანოები

- 12.1. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება.
- 12.2. პარტნიორთა კრების მიერ ინიშნება უნივერსიტეტის დირექტორი, რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე ორგანიზაციებისა და უწყებების წინაშე.
- 12.3. უნივერსიტეტის საქმიანობის კონტროლის მიზნით, პარტნიორთა კრების მიერ იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ზედამხედველობს უნივერსიტეტის საქმიანობას;
- 12.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან პარტნიორთა კრება იჭრევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს;
- 12.5. უნივერსიტეტის პარტნიორთა კრება ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც უძღვება უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას;
- 12.6. უნივერსიტეტის დირექტორი და რექტორი უზრუნველყოფენ პარტნიორთა კრებებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტენ საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებს, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
- 12.7. უნივერსიტეტის დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და რექტორის დანიშვნა განთავისუფლების წესი უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ამ წესდებით, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სხვა შიდა სამსახურეობრივი აქტებით.

## მუხლი 13 პარტნიორთა კრება

- 13.1. პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი იმპერატიული ნორმებისა და წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 13.2. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების 50%-ზე მეტის მქონე პარტნიორები.
- 13.3. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
  - \_ სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
  - \_ საზოგადოების საშტატო განრიგისა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და დამტკიცება;
  - \_ სახელფასო პოლიტიკის განსაზღვრა და საშტატო განრიგის შესაბამისად ხელფასების ოდენობის დადგენა და დამტკიცება, უნივერსიტეტის ბიუჯეტის განსაზღვრა/დამტკიცება;
  - \_ საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ფასების დადგენა და ზოგადად საფასო პოლიტიკის განსაზღვრა;
  - \_ საზოგადოების კუთვნილი რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის, სასაქონლო ნიშნის ან/და სხვა ინტელექტუალური საკუთრებისა და არამატერიალური აქტივის გასხვისება, გაქირავება, დაგირავება ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;
  - \_ წილთა შექმნა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შექმნა, გასხვისება და ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;
  - \_ უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება, დატვირთვა;
  - \_ სესხებისა და კრედიტების აღება;
  - \_ წესდებაში ცვლილებების შეტანა;
  - \_ ამ წესდებით გათვალისწინებული წესით, უნივერსიტეტის დირექტორის, უნივერსიტეტის რექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა

და გამოწვევა, აგრეთვე ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების დანიშვნა და გამოწვევა, მათი ანგარიშის დამტკიცება;

– დირექტორთან/რექტორთან და სამეთვალყურეო საბჭოე წევრებთან ხელშეკრულების დადება.

– საზოგადოების გეგმებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება.

– გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურის) გაცემა.

– ფილიალებისა და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფების შექმნა, მათი წესდებების (დებულებების) დამტკიცება, უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია).

– უნივერსიტეტის ასოციაციებში, გაერთიანებებში და სხვა ორგანიზაციებში შესვლა და იქიდან გამოსვლა.

– უნივერსიტეტისა და მისი ფილიალების საქმიანობის წლიური შედეგების, მოგების განაწილების წესისა და ზარალის დაფარვის წესის განსაზღვრა და დამტკიცება.

– უნივერსიტეტის პარტნიორის მიერ განსახორციელებელი დამატებითი შენატანების ოდენობის, ფორმისა და წესის დადგენა.

– იმ ხელშეკრულებების დამტკიცება, რომლის თანხაც აღემატება დამფუძნებლის მიერ დადგენილ ზღვარს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

– ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა.

– უნივერსიტეტის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

– უნივერსიტეტის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ლიკვიდატორების დანიშვნა და სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.

– სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა კანონმდებლობისა და ამ წესდების თანახმად შედის დამფუძნებლის კომპეტენციაში. ასევე იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელზეც წესდების შესაბამისად გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

## მუხლი 14

### უნივერსიტეტის დირექტორი

14.1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში ახორციელებს დირექტორი. იგი უფლებამოსილია უნივერსიტეტი წარმოადგინოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

14.2. დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა კრება ხმათა უმრავლესობით.

14.3. დირექტორმა თავისი ამოცანები უნდა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

14.4. დირექტორი მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე:

– ახორციელებს უნივერსიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობას;

– განაგებს უნივერსიტეტის ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით);

– აწარმოებს ყველა სახის გარიგებას, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში უნივერსიტეტის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

– მინდობილობის გარეშე მოქმედებს უნივერსიტეტის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს საქართველოსა და უცხოეთის ყველა დაწესებულებაში, ფირმაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში;

– ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან თავის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა მუშაკებს, რასაც ათანხმებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან;

– წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს/პარტნიორებს განსახილველად/დასამტკიცებლად წლიურ ბალანსსა, წლიურ ანგარიშს, საშტატო განრიგს, სახელფასო ფონდს, საფასო პოლიტიკას;

– იღებს გადაწყვეტილებებს და იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია უნივერსიტეტის ყველა მუშაკისათვის;



\_ განსაზღვრავს იმ ინფორმაციის შემადგენლობასა და მოცულობას, რომელიც უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოს, აგრეთვე განსაზღვრავს მისი დაცვის წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

\_ ახორციელებს სხვა ქმედებებს უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

14.5. დირექტორი პარტნიორთა კრების თანხმობით ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;

- ფილიალების შექმნა, ლიკვიდაცია;

- სავაჭრო მინდობილობებისა და პროკურის გაცემა, გაუქმება;

14.6. დირექტორი ვალდებულია პარტნიორთა კრებას წარუდგინოს ინფორმაცია:

სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ (წელიწადში ერთხელ მაინც);

უნივერსიტეტის რენტაბელობის შესახებ ანგარიში სისტემატურად.

14.7. დირექტორი ვალდებულია წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია მარეგისტრირებელ ორგანოს საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

14.8. დირექტორი ვალდებულია ზედმიწევნით აღასრულოს პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც წინამდებარე წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს პარტნიორთა ან/და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

## მუხლი 15

### უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო

15.1. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან, ყოველ წევრს პარტნიორთა საერთო კრება ხმათა უმრავლესობით ირჩევს 5 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილების ვადა უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

15.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი უეცარი გადადგომით შესაძლებელია უნივერსიტეტის საქმიანობა შეფერხდეს ან რაიმე ფორმით მიადგეს ზიანი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომის ან/და გამოწვევის შემთხვევაში პარტნიორთა კრების მიერ უნდა აირჩეს ახალი წევრი.

15.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის საზოგადოების პარტნიორები.

15.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და თითო წევრს გააჩნია ერთი ხმის უფლება.

15.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან პარტნიორთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. რომელიც იწვევს და თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

15.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 3 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება მინდობილობის საფუძველზე სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

15.7. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობა ან დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილია, იმ წევრის ნოტარიალურად დამოწმებული პოზიცია (ეთანხმება თუ არ ეთანხმება ამა თუ იმ განსახილველ საკითხს), რომელიც ვერ ესწრება კრებას. თუ, სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრი ან საზოგადოების დირექტორი უფლებამოსილია 8 დღის განმავლობაში მოიწვიოს ახალი სხდომა, თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს

უწყდება დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის უფლებამოსილება და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრი ან საზოგადოების დირექტორი იმავე დღისწესრიგით იწვევს პარტნიორთა საერთო კრებას.

15.8. ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს სამივე წევრის თანხმობა. თუ რომელიმე წევრი არ ეთანხმება დღისწესრიგით გათვალისწინებულ საკითხს, რის გამოც სამეთვალყურეო საბჭო ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის უფლებამოსილება და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრი ან საზოგადოების დირექტორი იმავე დღისწესრიგით 8 (რვა) დღის განმავლობაში იწვევს პარტნიორთა საერთო კრებას.

15.9. სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც წინამდებარე წესდებით არ არის გათვალისწინებული, დარეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებით.

## მუხლი 16

### სამეთვალყურეო საბჭო კომპეტენცია

16.1. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას და კონტროლს უწევს უნივერსიტეტის, დირექტორის, რექტორის და აკადემიური საბჭოს საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორისაგან/რექტორისგან უნივერსიტეტის საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს უნივერსიტეტის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ობიექტები, უნივერსიტეტის სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო იწვევს პარტნიორთა საერთო კრებას, თუ უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არსებობს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, განიხილავს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, განიხილავს სამტატო განრიგის და სახელფასო ფონდის საკითხებს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას;

ვ) უფლებამოსილია წარუდგინოს პარტნიორთა კრებას უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურა;

ზ) განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა კრებას უნივერსიტეტის სტრუქტურასა და სამტატო განრიგს;

თ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს;

16.2. ნებისმიერი საკითხი, რომელიც ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული და ასევე არ შედის სამეთვალყურეო საბჭოს, აკადემიური საბჭოს, დირექტორის, რექტორის, კომპეტენციაში, განიხილება პარტნიორთა კრების მიერ.

## მუხლი 17

### აკადემიური საბჭო

17.1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებად აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელები ან/და ერთერთი წევრი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან;

17.2. აკადემიურ საბჭოს წევრებს ნიშნავს და ანთავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

17.3. აკადემიური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმის შემუშავება, რომელსაც განსახილველად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
- ბ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- გ) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;
- დ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის, აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართვის წესს;
- ე) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტის მინიჭების ან არმინიჭების თაობაზე. ასევე სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს და ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე განსაზღვრავს და ამტკიცებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;
- თ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;
- ი) ამტკიცებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას;
- მ) განსაზღვრავს სტუდენტების მიღების წესს, კრიტერიუმებსა და პირობებს;
- ნ) ქმნის სადისერტაციო საბჭოებს;
- ო) ადგენს აკადემიური პერსონალის დაქირავების წესებს;
- პ) ამტკიცებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ სწავლის და კვლევების შეფასების სისტემას.
- ჟ) შიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს უნივერსიტეტის დებულებას, შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს;
- რ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
- 17.6. აკადემიური საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
- 17.7. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
- 17.8. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.
- 17.9. აკადემიური საბჭოს კრებებს იწვევს და კრების ოქმს ადგენს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
- 17.10. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა, მისი ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი შესაძლებელია დამატებით განისაზღვროს აკადემიური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო.

## **მუხლი 18** **უნივერსიტეტის რექტორი**

- 18.1. უნივერსიტეტის რექტორი არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
- 18.2. უნივერსიტეტის რექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო.
- 18.3. უნივერსიტეტის რექტორად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, მათ შორის უნივერსიტეტის დირექტორიც, რომელიც შეითავსებს რექტორის უფლებამოსილებებს და ფუნქციებს.
- 18.4. რექტორი უძღვება უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, კერძოდ:
  - 18.4.1. ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს საქმიანობას;
  - 18.4.2. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ძირითადი ერთეულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შექმნასა და განხორციელების პროცესს;
  - 18.4.3. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ხარისხის მართვის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას;
  - 18.4.4. განსაზღვრავს და სამეთვალყურეო საბჭოს უთანხმებს უნივერსიტეტის სწავლების პოლიტიკას;
  - 18.4.5. სამეთვალყურეო საბჭოს მიმართავს წარდგინებით უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის და უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის განსაკუთრებული წოდებების მინიჭების თაობაზე;
  - 18.4.6. ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;
  - 18.4.7. ბრძანების გამოცემის გზით წყვეტს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს;
  - 18.4.8. დებს ხელშეკრულებებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
  - 18.4.9. ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობენ უნივერსიტეტის ყოველდღიური აკადემიური საქმიანობიდან.
  - 18.4.10. რექტორი მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ამტკიცებს უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივ აქტებს და გამოსცემს ბრძანებებს.

## **მუხლი 19**

### **უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

- 19.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის;
- 19.2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, მათი მუშაობის სისტემატური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების გზით;
- 19.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.
- 19.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელსაც ბრძანებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

## **მუხლი 20**

### **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული**

- 20.1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა

მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;

20.2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები.

20.3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უფლება აქვს, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით: ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში; ბ) სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

## მუხლი 21 დეკანი

21.1 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

21.2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს, რექტორის, და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) ახორციელებს ამ წესდებითა და სხვა შიდა სამსახურებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

## მუხლი 22 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი

22.1. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან, რომელთა საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი. პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ასევე, შრომითი ხელშეკრულების დანართების) საფუძველზე.

22.2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

22.3. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

22.4. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

22.5. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

22.6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს მასწავლებელთა პერსონალი: მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

22.7. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

22.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მოიწვიოს შესაბამისი

კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

22.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობებზე აირჩიოს კვალიფიციური პერსონალი პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

22.10. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

## მუხლი 23 სტუდენტი

23.1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს სრულად ისარგებლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით, ხოლო უნივერსიტეტი ვალდებულია განუხრელად აღასრულოს და ხელი შეუწყოს სტუდენტს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში.

23.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის დააწესოს შეღავათები მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით.

23.3. სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, გამოცდების ჩატარების წესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

23.4. სტუდენტის მიერ სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო. რომლის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის რექტორი, დეკანი და ორი პროფესორ-მასწავლებელი.

23.5. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს ეთიკის საბჭოს განხილვას და ასევე, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. უნივერსიტეტი ვალდებულია ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ შეინახოს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

23.6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას/მის კონკრეტულ წარმომადგენელს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს უნივერსიტეტმა. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურის გზით.

23.7. უნივერსიტეტი ვალდებულია თითოეულ სტუდენტს გააცნოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესებს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე და უკავშირება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. უნივერსიტეტი სტუდენტის ეთიკის კოდექსში დეტალურად განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც იწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

23.8. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

23.9. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც შიდა, ასევე სწავლების მეორე წლიდან გარე მობილობის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობისა და „ბაკალავრიატის დებულების“ შესაბამისად.

## **მუხლი 24** **სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

24.1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

24.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

24.2.1. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

24.2.2. აკადემიური შვებულება;

24.2.3. სტუდენტის პირადი განცხადება;

24.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

24.2.5. სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

24.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტი, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით.

24.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

24.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;

24.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

24.4.3. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;

24.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები.

24.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

24.6. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.

24.7. სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

24.8. სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე, რექტორის ბრძანების საფუძველზე.

## **მუხლი 25** **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

25.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

25.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

25.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

25.1.3. პირადი განცხადება;

25.1.4. სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

25.1.5. სტუდენტის ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევა;

25.1.6. გარდაცვალება.

25.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

25.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგები დგება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან და სხვა მარეგულირებელ აქტებთან.

25.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 26**

### **წლიური ანგარიში და შედეგების გადანაწილება**

26.1. წლიურ ანგარიშს ადგენენ უნივერსიტეტის დირექტორი/რექტორი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. წლიური ანგარიში დგება სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში და ეგზავნება უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს და ასევე პარტნიორებს.

26.2. წლიური მოგების (დივიდენდის) გადანაწილება ხდება კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 27**

### **ქვედანაყოფების/ფილიალების შექმნა და მონაწილეობა ორგანიზაციაში**

27.1. უნივერსიტეტს უფლება აქვს შექმნას ორგანიზაციები, ფილიალები, წარმომადგენლობები, კოლეჯები, სკოლები და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშების გახსნის უფლებით.

27.2. საზოგადოების მიერ შექმნილი განცალკევებული ქვედანაყოფები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მოქმედებენ საზოგადოების სახელით (მინდობილობის საფუძველზე) და დამფუძნებელი-პარტნიორის მიერ მათ შესახებ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

## **მუხლი 28**

### **საზოგადოების რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია**

28.1. საზოგადოების რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებებით.

28.2. საზოგადოების სხვა ორგანიზაციასთან შერწყმის შემთხვევაში ყველა ქონებრივ უფლებასა და მოვალეობას დებულობს შერწყმის შედეგად შექმნილი ორგანიზაცია.

28.3. საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება:

- დამფუძნებელი-პარტნიორ(ებ)ის გადაწყვეტილებით;
- სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საზოგადოების გადახდისუუნარობის (ბანკროტობის) ან მის მიერ კანონმდებლობის ხშირი ან უხეში დარღვევის შემთხვევაში.

28.4. საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებენ დანიშნული ლიკვიდატორები. ლიკვიდატორების დანიშვნის დღიდან მათ გადაეცემათ საზოგადოების საქმეთა მართვის უფლება-მოვალეობანი.

28.5. ლიკვიდატორები აფასებენ საზოგადოების არსებულ ქონებას და ახორციელებენ კრედიტორებთან ანგარიშსწორებას, ადგენენ სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენენ მას დამფუძნებელ-პარტნიორს.

28.6. კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საზოგადოების პარტნიორებს შორის მათი წილების პროპორციულად.



**მუხლი 29**  
**განსაკუთრებული პირობები**

29.1. საზოგადოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან/და საწესდებო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თითოეულ პარტნიორს სრულად უნდა დაუბრუნდეს ის რაც, მის მიერ ფაქტიურად იქნა შეტანილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შესავსებად და ამის შემდეგ გაიყოს საზოგადოების ქონება კუთვნილი წილების პროპორციულად.

**მუხლი 30**  
**სხვა დებულებები**

30.1. ამ წესდებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი მიღებულია პარტნიორთა კრების მიერ, შედგენილია წერილობით და მას სათანადო ხელისმოწერით ადასტურებს დამფუძნებელი-პარტნიორი და საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსი.

30.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს გავლენას არ ახდენს სხვა დებულებათა ნამდვილობაზე. უფრო ზუსტად, ბათილი დებულების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონისმიერი დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

30.3. ამ წესდების მუხლებს სათაურები წამდვარებული აქვთ წესდების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან როგორც ამ წესდების რაიმე დებულების განმსაზღვრელნი, შემცვლელნი ან განმმარტავნი.

30.4. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საზოგადოების პარტნიორები:**

**მიხეილ ბატიაშვილი** პ/ნ: 01009012233 -----

**გრიგოლ ბულია** პ/ნ: 01005004242 -----

**იოსებ ხუციშვილი** პ/ნ: 01018004880 -----